



საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

ოქმი

თარიღი: 4 მარტი, 2015 წელი

დრო: 12:00 – 14:00 საათი

შეხვედრისადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრასესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე - ევროპული ინიციატივა-ლიბერალური აკადემია თბილისი;
2. ნათია კუპრაშვილი - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია;
3. ირინა ფუტკარაძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საზოგადოებრივი დამცველი;
4. კახა გოგოლაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი;
5. მანანა წულაია - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა";
6. ანზორ დუნდუა - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საქართველოს ენერგორესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია;
7. მანანა დევიძე - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ფონდი "კავკასიის ეკოლოგია";

8. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ახალგაზრდული ალტერნატივა;
9. ნინო ტლაშაძე - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ადამიანის უფლებათა ცენტრი;
10. ირაკლი პეტრიაშვილი - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
11. ზურაბ ფუტყარაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი - ჯანმრთელი სამყარო

განსახილველი საკითხები:

- ❖ მიმდინარე საკითხები
- ❖ ინფორმაცია საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შესახებ
- ❖ ახალი წევრების მიღება
- ❖ სხვა

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი. მან საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ფორმირება და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

ეროვნული პლატფორმის ახალი წესდების 9 მუხლის 9.4 პუნქტის ე ქვეპუნქტის თანახმად, საკოორდინაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს საკოორდინაციო საბჭოს წევრთაგან პლატფორმის თავმჯდომარის მოადგილეს. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის დირექტორის, კახა გოგოლაშვილის კანდიდატურა. შეხვედრის მიმდინარეობისას გამართული კენჭისყრის საფუძველზე საბჭოს წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით აღნიშნულ პოზიციაზე დამტკიცდა მისი კანდიდატურა.

პლატფორმის თავმჯდომარემ დამსწრეებს აცნობა, რომ 19 მარტს დაგეგმილია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან.

პირველი ჯგუფის კოორდინატორმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 17 მარტს, ერევანში გაიმართება ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის შეხვედრა, სადაც

იგი ისაუბრებს 2015 წლისათვის სამუშაო ჯგუფის პრიორიტეტებზე, სასამართლო რეფორმაზე, საარჩევნო სისტემის ცვლილებებზე და მედიის თემაზე.

შეხვედრაზე დამსწრეებმა განიხილეს პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციების განაცხადები. მსჯელობის შედეგად დადებითად გადაწყდა ორგანიზაცია "საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის" წევრობის საკითხი.

საკოორდინაციო საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ ისინი აქტიურად ჩაერთვებიან წესდების მიხედვით გათვალისწინებული დებულების დოკუმენტის შემუშავების პროცესში, მათ ასევე ისაუბრეს საერთო კრებაზე ნაკისრ ვალდებულებაზე და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში რეგიონალური ორგანიზაციების ჩართვა და მათი რესურსების, გამოცდილების გაზიარება, ასევე იმ გზების ძიება, რომელიც გააღრმავებს რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობას და თანამშრომლობას.

მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორმა ისაუბრა ენერგეტიკის სფეროში არსებულ გამოწვევებზე და აღნიშნა, რომ ქვეყანამ აქტიურად უნდა იმუშაოს საშინაო და საგარეო მიმართულებით. მისი თქმით საერთო ენერგეტიკული ბალანსის კოეფიციენტი 3 ჯერ ნაკლებია, ვიდრე იგი იყო 25 წლის წინ.

მეოთხე ჯგუფის კოორდინატორმა წამოაყენა ახალგაზრდული პარლამენტის შექმნის ინიციატივა და ისაუბრა ევროინტეგრაციის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის აუცილებლობაზე.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ნატალია აბრამია